Georgian National
Film Center
საქართველოს კინოკინოტეატრების
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი №2



2011

პრემიერები

"ნეტავი იქ თეატრი არის?!"

30 მაისს კინოთეატრ "ამირანში" გაიმართა ნანა ჯანელიძის ახალი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის პრემიერა "ნეტავი იქ თეატრი არის?!". ფილმის მთავარი გმირია ყველასთვის საყვარელი მსახიობი კახი კავსაძე. ფილმი აგებულია კახი და იმერი კავსაძეების მონათხრობზე.

ფილმი ასახავს კახი კავსაძის ცხოვრების გზას, მაგრამ იგი მთელი თაობის, საბჭოთა ეპოქის ქვეყნის ტარგიკულ თუ სევდიან, მხიარულ თუ აბსურდულ ამბებს. ნანა ჯანელიძის ნამუშევარი უჩვეულო ფორმით არის მოწოდებული, ფილმში არის როგორც დოკუმენტური თხრობისთვის დამახასიათებელი ელემენტები, ასევე, მხატვრულად გაცოცხლებული რეალური პერსონაჟები, სიმბოლური გარემო-სივრცე, პირობითი ყოფა, რომელიც თეატრისა და კინოს სტილისტიკის ზღვარზეა.

ფილმის ოპერატორია გიორგი ბერიძე, მხატვარი ზურა მიქელაძე, კომპოზიტორი მიშა მდინარაძე, კოსტიუმების მხატვარი ქეთი ფალავანდიშვილი.

მსახიობები კახი კავსაძე, ნინო კურატაშვილი, ირაკლი და ნიკო კაკაურიძეები და სხვები.

ფილმი გადაღებულია ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით. სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 43 000 ლარი. ფილმს სპონსორობა გაუწია აგრეთვე „თიბისი ბანკმა", „საქველმოქმედო ფონდმა ქართუმ", „ფონდმა ღია საზოგადოება საქართველომ" და „კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ". ფილმის პარტნიორები იყვნენ ეროვნული არქივი, ს.ს. „ქართული ფილმი", კომპანია „სინეტექი".

"ხვალ, ზეგ და მაზეგ"

25 ივნისს კინოსახლში გაიმართა ზურაბ ინაშვილის დოკუმენტური ფილმის „ხვალ, ზეგ და მაზეგ“ დახურული ჩვენება. ფილმი ეროვნული კინოცენტრის 2010 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტია და მისი წარმოებისთვის სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 38 000 ლარი.

52 წუთიანი ფილმი „ხვალ, ზეგ და მაზეგ“ ასახავს ახალგაზრდების ცხოვრებას, როგორ ხედავენ თავიანთ მომავალს ისინი, რა აწუხებთ, რა აფიქრებთ, როგორ აღიქვამენ რეალობას, როგორია მათი ინტერესების სფერო, ურთიერთობები მეგობრებთან, მშობლებთან, საზოგადოებასთან.

სცენარის ავტორი: ზურაბ ინაშვილი.
ოპერატორი: რამაზ ბატატუნაშვილი.
მონტაჟი: ერეკლე მუმლაძე.
პროდიუსერი: სანდრო ინაშვილი.

„ხვალ, ზეგ და მაზეგ”



„ნეტავი იქ თეატრი არის?!”

კონკურსები

2011 წლის II კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოავლინა მიმდინარე წლის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის გამარჯვებული კინოპროექტები.

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში შემოვიდა 16 პროექტი. საექსპერტო კომისიის მიერ განხილვის შედეგად მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმებიდან გამარჯვებულად გამოცხადდა 4 პროექტი:

- "ბუდე" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯემინი," რეჟისორი – თორნიკე ბზიავა).
- „შავი თუთა" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ჯემინი", რეჟისორი – გაბრიელ რაზმაძე).
- „2 კვირით ადრე" (საპროდიუსერო კომპანია – ფიზიკური/პირი – პაპუნა მოსიძე, რეჟისორი – პაპუნა მოსიძე).
- „თემურის შვილები" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ედ ვინდფორსი", რეჟისორი – კონსტანტინე თაყაიშვილი).

მიმდინარე პროექტები

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მარილივით თეთრი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯაგაგრიპი", რეჟისორი – ქეთევან მაჭვარიანი), ფილმის პრემიერა დაგეგმილია სექტემბერში.

- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბუდე" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ჯემინი", რეჟისორი – თორნიკე ბზიავა). პრემიერა დაგეგმილია სექტემბერში.

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ღვინის აკვანი" (საპროდიუსერო კომპანია – ახალგაზრდა რეჟისორთა კავშირი „ახალი სტუდია", რეჟისორი – მერაბ კოკოჩაშვილი). პრემიერა დაგეგმილია სექტემბერში.

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხვალ, ზეგ და მაზეგ" (საპროდიუსერო კომპანია – ა(ა)იპ „საავტორო ფილმების სტუდია", რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი). დახურული ჩვენება 25 ივნისს კინოსახლში გაიმართა.

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნეტავ იქ თეატრი არის!?" – (საპროდიუსერო კომ-პანია – შპს ა(ა)იპ „სტუქო", რეჟისორი - ნანა ჯანელიძე), პრემიერა შედგა კინოთეატრ ამირანში 30 მაისს.

- წარმოების პერიოდშია შპს „სანგუკოს" სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „თამაში", რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და პროექტი „ველური დღეების ქრონიკები", რეჟისორი - დავით უჯმაჯურიძე.

- გადაღების პერიოდშია ქართულ-ესპანური სრულმეტრაჟიანი მხატვრული კოპროდუქცია „ჩაიკა" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სინეტექი", რეჟისორი – მიგელ ანხელ ხიმენესი).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაიღიმეთ" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ნიკე სტუდიო", რეჟისორი – რუსუდან ჭყონია), ფილმის პრემიერა დაგეგმილია სექტემბერში.

„მარილივით თეთრი" – გადაღების პროცესი

რუსუდან ჭყონია

- მიმდინარეობს მონტაჟი დოკუმენტურ ფილმზე „ფალავანი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „პალესტრა”, რეჟისორი - თემურ ცავა), ფილმი დასრულდება მიმდინარე წლის 30 დეკემბერამდე.

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ცრუპენტელა აღმზრდელი” (საპროდიუსერო კომპანია - შპს „იქს-ეფი”, რეჟისორი – დავით სიხარულიძე).

- მონტაჟის პროცესშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „უკანასკნელი წერილი” (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კვალი”, რეჟისორი - გელა კანდელაკი).

- მოსამზადებელ პერიოდში შევიდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა თეთრი ვარსკვლავები გამოჩნდებიან” (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბასტრა ფილმს”, რეჟისორი – ნინო კირთაძე).

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მანდარინები” (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სინემა 24”, რეჟისორი – ზაზა ურუშაძე).

- მოსამზადებელ პერიოდში შევიდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორი - ზაზა რუსაძე).

- მოსამზადებელ პერიოდში შევიდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შავი თუთა” (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ჯემინი”, რეჟისორი – გაბრიელ რაზმაძე).

- მოსამზადებელ პერიოდში შევიდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქართული ნაგაზი” (საპროდიუსერო კომპანია შპს „თი-სტუდია”, რეჟისორი – დემნა ჯაფარიძე).

- მოსამზადებელ პერიოდში შევიდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ნათურა” (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სტუდია რეალითი”, რეჟისორი – დავით კოპალეიშვილი).

- მოსამზადებელ პერიოდში შევიდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხვი და მოყმე“ (პროდიუსერი - ფიზიკური პირი - ზურა ქვაჩახია, რეჟისორი - მარიამ კანდელაკი).

- მოსამზადებელ პერიოდში შევიდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა” (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ჯი-ეფ-ემ სტუდიო”, რეჟისორი – მალხაზ კუხიანიძე).

- მოსამზადებელ პერიოდში შევიდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ორი პეპელა” (საპროდიუსერო კომპანია – შპს „არტ-პარალელი”, რეჟისორი – ილია დოიაშვილი).

„ჩაიკა”

საქართველოს გაწევრიანება ევროპის საბჭოს ევროპული კინოს მხარდაჭერის ფონდში "ევრიმაჟი" (Eurimages)

საქართველო ევროპის საბჭოს - ევროპული კინოს მხარდაჭერის ფონდის "ევრიმაჟის" 36-ე წევრი ქვეყანა ხდება. 13 ივნისს, კულტურის სამინისტროში ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა – თამარ ტატიშვილმა გამართა პრეზენტაცია, რა მნიშვნელობა აქვს ქართული კინოსთვის ევროპის ყველაზე დიდ კინოფონდში გაწევრიანებას.

საქართველოს ევრიმაჟში გაწევრიანების პროცესს წარმართავდა ეროვნული კინოცენტრი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პატრონაჟით.

საქართველოს ფონდის სრულუფლებიან წევრად აღიარება კულტურული პოლიტიკის დიდი მიღწევაა - იზრდება არა მხოლოდ ქართული ფილმების დაფინანსების წყარო და პერსპექტივები, არამედ საქართველო სრულფასოვნად წარმოჩინდება საერთაშორისო, კერძოდ კი ევროპულ პროფესიულ სივრცეში ისევე, როგორც ხდება ეროვნული კინოცენტრის პროფესიული პოზიცირება ევროპულ ოფიციალურ ინსტიტუციებთან.

ფონდის რესურსების 90% განკუთვნილია კოპროდუქციის განვითარებაზე. დაარსებიდან დღემდე, ევრიმაჟმა მხარი დაუჭირა 1300-ზე მეტ ევროპულ კოპროდუქციას (სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები) 407 მილიონი ევროს ოდენობით. 2010 წელს ევრიმაჟის ფონდის ბიუჯეტი შეადგენდა 21 მილიონ ევროს.

წელს ევრიმაჟის მხარდაჭერით წარმოებული 10 კოპროდუქციული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი მონაწილეობდა კანის კინოფესტივალის საკონკურსო ჩვენებებში. აქედან 5 ფილმი დაჯილდოვდა. (The Kid with the Bike, Once Upon a Time in Anatolia, Melancholia, The Minister, This must be the Place)

საქართველო კანის 64-ე კინოფესტივალზე

ეროვნულმა კინოცენტრმა საქართველო კანის კინოფესტივალზე წელს უკვე მეოთხედ წარადგინა. პავილიონი, ტრადიციულად, კანის კინობაზრობის - Marche du Film ფარგლებში, საქართველოს დროშის ქვეშ გაიხსნა (11- 20 მაისი, №104 Village International Riviera). პავილიონში ინდუსტრიული კუთხით მუშაობდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი და სხვა წარმომადგენლები: სალომე სეფაშვილი, დავით ვაშაძე, ქეთი დანელია.

ბაზრობაზე კინოცენტრის შეხვედრები რამდენიმე მიმართულებით გაიმართა:

სხვა ქვეყნების კინოფონდებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება და შესაბამისად ქართული პროექტებისათვის ალტერნატიული დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება.

ახალი ქართული ფილმების ტრეილერების გავრცელება და შეთავაზება სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებისათვის.

საქართველოს პოზიცირება როგორც გადასაღებად მიმზიდველი ქვეყანა. გავრცელდება ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი დისკი - Film and Tourism in Georgia.

მოლაპარაკებების განახლება საქართველოს ევროპის საბჭოს კინოს მხარდაჭერის ფონდში - Eurimages გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

14 მაისს, ქართულ პავილიონში გაიმართა ტრადიციული მიღება (Happy Hour) უცხოელი სტუმრებისთვის საქართველოს და ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით.

კანის კინოფესტივალზე და კინობაზრობაზე სხვადასხვა მიზნით იყვნენ ასევე ქართველი რეჟისორები და პროდიუსერები:

ვანო ბურდული, თიკო ყაჯრიშვილი, ზაზა რუსაძე, თორნიკე ბზიავა, გიორგი ოვაშვილი, ქეთი გალდავაძე, ნიკოლოზ ხომასურიძე, გუკა რჩეულიშვილი.

ასევე ბაკურ ბაკურაძე და არჩილ გელოვანი (ფილმით „მონადირე“ ფესტივალის ერთ-ერთ საკონკურსო სექციაში „განსაკუთრებული ხედვა“)

სხვა პროექტები

ქართული კინოსექტორის ეკონომიკური რუკის კვლევა (Mapping)

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, ბრიტანულ საკონსულტაციო კომპანიასთან ერთად (“BOP კონსალტინგ”) საქართველოს კინოსექტორის ეკონომიკური რუკის კვლევა დაიწყო.

კვლევა ჩატარდება ეროვნული კინოცენტრისა და ბრიტანეთის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ამასთან დაკავშირებით, 4-7 აპრილს, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ კომპანია BOP –კონსალტინგის წარმომადგენლები – ჟოზეფინ ბარნსი და რიჩარდ ნეილორი.

კვლევა მოიცავს შემდეგი მონაცემების შეგროვებას:

- კინოსექტორის დეტალურ შესწავლას, რაც მოიცავს დასაქმებული ადამიანების რაოდენობას, ბიზნესის მოცულობასა და ეკონომიკურ ბრუნვას;
- ქართული კინოსა და მისი ფუნქციონირების თვისობრივ შესწავლას, რაც გულისხმობს უნარებს, ბაზარს, სამუშაო ადგილებს, კულტურულ კავშირებს, ასევე სექტორის განვითარების პერსპექტივებს;
- ეკონომიკური რუკის კვლევის მნიშვნელობის შეფასებას, რაც წარმოადგენს ეფექტური ჩარევის საფუძველს – ანუ იმის ცოდნას, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ამჟამად და რა უნდა გაკეთდეს მომავალში;
- ეკონომიკური კვლევის სფეროში ადგილობრივი მოქმედი პირების უნარების გაძლიერებას.

პირველი ფაზის ფარგლებში ჩატარდა სემინარები და პრეზენტაცია მთავრობის, კინოსექტორისა და ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლებთან. შეხვედრების დროს განხილული იყო სხვადასხვა ქვეყნების შესაბამისი მაგალითები.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

კინოსექტორის ეკონომიკური რუკის შესწავლა დაეხმარება სახელმწიფოს განავითაროს ადგილობრივი კინოსექტორი, როგორც ქვეყნის განვითარებისა და კულტურული ტურიზმის გაძლიერების ხელშემწყობი სფერო.

ეს იქნება პირველი ნაბიჯი საქართველოს (და შესაძლებელია, უფრო ფართო რეგიონის), შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკონომიკური რუკის შესწავლაში, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ინდუსტრიების ზრდისადმი სტრატეგიული მიდგომის შემუშავებას.

კვლევის შედეგები შესაძლებლობას მოგვცემს განვახორციელოთ შემდგომი ეკონომიკური ანალიზი, როგორიცაა კინოსექტორის წვლილის გამოთვლა მთლიან ქართულ პროდუქციასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ხელმისაწვდომი გახდება დაწვრილებითი ინფორმაცია კინოსექტორის განვითარების საჭიროებებისა და პერსპექტივების შესახებ.

საქართველოში LOCATION SCOUTING იწყება

(გადასაღები ადგილების მოძიება და ფოტობანკის შექმნა)

მაისიდან დაიწყო ეროვნული კინოცენტრისა და კომპანია „ლოქეიშენ სთოქის“ერთობლივი პროექტი Location Scouting-ის პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს შერჩეული 16 ფოტოხელოვანისთვის ლოკაციების სკაუტინგის სპეციფიკის გაცნობას. შემდეგ ეტაპზე შეირჩევა 6 ფოტოხელოვანი, რომლებიც სამი თვის განმავლობაში საქართველოს 4 რეგიონში (ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი, აჭარის,იმერეთის და კახეთის რეგიონები) მოახდენს კინემატოგრაფიულად მიმზიდველი ადგილების გადაღებას. პეიზაჟები, ქუჩები, ინტერიერები, ექსტერიერები მოთავსდება საქართველოს კინოკომისიის filmcomission.ge და კომპანია ლოქეიშენ სტოკის locationstock.com ვებ-გვერდებზე, რაც გაამარტივებს საქართველოში კინოს გადაღების მსურველთათვის სასურველი ადგილების მოძიების პროცესს.

პროექტის განხორციელების შემდგომ, საქართველოში გაიზრდება ლოკაციის სკაუტინგზე ორიენტირებული ადამიანების რაოდენობა, შეიქმნება სრულიად ახალი ფოტობაზა, რაც კინემატორგრაფისტების საქართველოს რეგიონით დაინტერესებას შეუწყობს ხელს და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის კინოკომისიის განყოფილების მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის.

FUTURE SHORTS ONE GEORGIA

24 ივნისს ვაკის პარკის „კლუბ 33ა“-ში გაიმართა ერთდღიანი საერთაშორისო კინოფესტივალი Future Shorts One Georgia.
Future Shorts მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კინოორგანიზაციაა, რომელიც 2003 წელს დიდ ბრიტანეთში დაარსდა. არსებობის 8 წლის განმავლობაში კომპანიამ მოიპოვა ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური, შემოქმედებითი და ყველასათვის ხელმისაწვდომი კინო ორგანიზაციის რეპუტაცია და შექმნა დამოუკიდებელი ფილმების მოყვარულთა უდიდესი აუდიტორია მსოფლიოში.
Future Shorts ONE კომპანიის ახალი პროექტია, რომელიც ერთი და იმავე კინო-პროგრამით, ყოველი თვის ერთ საღამოს მსოფლიოს 20 ქვეყნის 60 ქალაქში იმართება. ტრადიციული კინო-ფესტივალებისგან განსხვავებით, ONE-ის ღონისძიება არამარტო კინოჩვენებაა, არამედ ის მოიცავს მუსიკასა და ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა ფორმას.

ყოველთვიური საერთაშორისო ფესტივალმა ONE ივნისში მაყურებელი 19 ქვეყნის 50 ქალაქში გააერთიანა. საქართველოც მათ რიცხვშია.
ერთდღიანი ფესტივალი ამჯერად ვაკის პარკში კინოჩვენებით გაიხსნა. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნის 7 მოკლემეტრაჟიანი ნამუშევარი.

ოფიციალური კინო-ჩვენების პარალელურად, გაიმართა ნიუ იორკში მცხოვრები ქართველი არტისტის, ლადო ფოჩხუას ნამუშევრების გამოფენა, სახელწოდებით The Book of the New Georgian Aristocracy. მუსიკალური ნაწილით მაყურებლის წინაშე წარდგნენ ადგილობრივი არტისტები.

Future Shorts Georgia, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მონაწილეობა მიიღონ Future Shorts Georgia-ს პროექტში. მსურველებს საშუალება ექნებათ წარადგინონ თავიანთი მოკლემეტრაჟიანი ნამუშევრები და ეძლევათ შანსი, მათი ფილმები Future Shorts -ის ადგილობრივ კინო-ჩვენებებზე ან ოფიციალურ პროგრამაში იქნას ნაჩვენები. პროგრამის ფილმებს საქართველოს გარდა, 19 ქვეყანა ადევნებს თვალს. ორგანიზაცია შერჩეული ფილმებისთვის ავტორებს ჰონორარს უხდის.

Georgian National Film Center
საქართველოს კინოვატორგანეფიის ეროვნული ცენტრი

ბრიტანელი კინემატოგრაფისტები თბილისში

საქართველოში გადასაღები ადგილების მოსაძიებლად 5 დღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ბრიტანელი პროდიუსერ-სცენარისტი ელიზაბეტ მიტჩელი და რეჟისორ-სცენარისტი ბრეკ ტეილორი, ,,ტეილორმეიდ პროდაქშენის" წარმომადგენლები. (Tailormade Productions)

ეროვნული კინოცენტრის კინოკომისიის სერვისის მეშვეობით უცხოელი კინემატოგრაფისტები გაეცნენ გადასაღებ ადგილებს თბილისში, ასევე ქართულ მუსიკალურ კულტურას და ქართულ სამზარეულოს.

ჯგუფი მუშაობს მხატვრული კინოპროექტის ,,ჩემი საბჭოთა სამზარეულო" მოსამზადებლად, რომლის გადაღებაც 2012 წლის გაზაფხულზეა დაგეგმილი. ბრიტანელი სტუმრები შეხვდნენ ქართული სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებსაც: ნიაზ დიასამიძეს, სუხიშვილების ანსამბლს, გიორგი უშიკიშვილს და სხვებს.

უცხოური კინოკომპანიის შემოსვლა საქართველოში და გადაღების წარმოება ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ ფორმით ქვეყანაში შემოედინება უცხოური ინვესტიცია, საქმდებიან საქართველოს მოქალაქეები და იზრდება ქვეყნის ცნობადობა.

ბრიტანული კინოსტუდია "ტეილორმეიდის" ბოლო წარმატებულ ნამუშევრად ითვლება ფილმი ,,კუნძული" (The Sea Change) , რომელმაც არაერთი საფესტივალო აღიარება მოიპოვა მსოფლიოს მასშტაბით.

ქართული კინო საზღვარგარეთ

თორნიკე ბზიავას ფილმის წარმატება

თორნიკე ბზიავას ფილმი ,,აპრილის სუსხი" ევროპული დამოუკიდებელი ფილმების ფესტივალზე პარიზში საუკეთესოდ აღიარეს. (მე-6 ევროპული დამოუკიდებელი ფილმების ფესტივალი, ECU, 1, 2, 3 აპრილი, 2011)

მოკლემეტრაჟიანი დრამატული ფილმისთვის რეჟისორმა მთავარი პრიზი აიღო. ფილმი ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოყოფილი სუბსიდიით არის გადაღებული ,,ზაფხულის კინოსკოლის" ფარგლებში. 2008 წელს სტუდენტური პროექტი ,,მშვდობით იარაღო", რომელიც 5 მოკლემეტრაჟიანი ფილმისგან შედგება, 100 000 ლარით დაფინანსდა. ,,აპრილის სუსხის" მწარმოებელი კინოსტუდია ,,სინეტეკია".

ქართული ფილმების წარმატება ვისბადენის მე–11 კინოფესტივალზე

6-12 აპრილს გერმანიის ქალაქ ვისბადენში, მე-11 კინოფესტივალი “goEast” გაიმართა. ფესტივალის სტუდენტურ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს და წარმატება მოიპოვეს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ნომინაციაში სტუდენტური კონკურსის გამარჯვებული გახდა ანა ჩერქეზიშვილისი ფილმი „აგვისტო 2008“, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე მოგვითხრობს. (Publikumspreise des goEast-Hochschulwettbewerbs)

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კიდევ 3 ფილმი დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომებით - ზურა დემეტრაშვილის „ოცნება ლასკალაზე“ (Lobende Erwähnung)

ნათია ნიკოლაშვილის ანიმაცია „ამომავალი მზის ქვეყანა“ და გიორგი ქობალიას „უსახელო მცენარე“. ეს ფილმები გადაღებულია ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ფესტივალი გაიხსნა ვაკო კირკიტაძის ფილმით „სექტემბერი“, რომელიც ზაფხულის კინოსკოლის ფარგლებში გადაიღეს ალმანახისთვის „მშვიდობით იარაღო“. ეს პროექტიც ეროვნული კინოცენტრის სუბსიდიით განხორციელდა.

საფესტივალო დღეებს ვისბადენში ესწრებოდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი – თამარ ტატიშვილი, ასევე კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანი – დავით ჯანელიძე, რეჟისორი – ვაკო კირკიტაძე.

ფესტივალის მთავარ კონკურსში მონაწილეობდა ასევე ქართველი რეჟისორის – ალექსანდრე ქვირიას ფილმი „გორილოვკა“, რომელმაც ასევე დიდი წარმატება მოიპოვა და ერთ–ერთი პრიზი მიიღო „არტისული ორიგინალობისთვის, რაც კულტურულ მრავალფეროვნებას ქმნის“ . (“Preis des Auswärtigen Amts „für künstlerische Originalität, die kulturelle Vielfalt schafft“საპრიზო ფონდი 2 000 ევროს ოდენობით)

საფესტივალო დღეები ითვალისწინებდა ასევე Project Market–ს, რაც ცალკეული გამოცდილებაა მომავალი კინემატოგრაფებისათვის, ისევე, როგორც ფესტივალზე დამყარებული საერთაშორისო კავშირები, რაც სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებს აღრმავებს.

"ბახმარო" ამერიკულ კინოფესტივალზე SILVERDOCS

სალომე ჯაშის ფილმი ,,ბახმარო" AFI-Discovery Channel Silverdocs-ის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში (Sterling World Feature Competition) მოხვდა. დოკუმენტური ფილმების ფესტივალი 2011 წლის 20-26 ივნისს სილვერ სპრინგში, მერი ლენდის შტატში (ვაშინგტონთან ახლოს) მეცხრედ გაიმართა. ის ამერიკის შეერთებულ შტატებში დოკუმენტური ფილმების ყველაზე პრესტიჟული ფესტივალია. საუკეთესო ფილმები მთელი მსოფლიოდან 14 ნომინაციაში გამოვლინდა. ფესტივალს 27 000 ადამიანი დაესწრო. სილვერდოკს ცნობილი გამოცემები დოკუმენტური კინოსამყაროს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად აფასებენ. მას "Non-Fiction Nirvana" უწოდა ვერაიეთიმ.

"ბახმარო" ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერითაა გადაღებული. სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 25 000 ლარი. ფილმის სრული ბიუჯეტია 405 000 ლარი.

ფილმი მოგზაურობაა საქართველოს ერთი პატარა ქალაქში მდებარე სამსართულიან შენობაში. ეს შენობა ადრე სასტუმრო "ბახმარო" იყო, ხოლო ახლა "მულტიფუნქციური" ნაგებობაა. შენობის ცენტრში ცარიელი რესტორანია, მუდამ გაწყობილი მაგიდებით. აქვეა ჩინელების მაღაზია, სათამაშო ავტომატები და პოლიტიკური პარტიის ოფისიც.

ეს შენობა მიკროკოსმოსია, მოდელი ქვეყნის, რომელიც მუდმივად ცვლილებების მოლოდინშია.

ქართული კინოს დღეები უკრაინაში

უკრაინის ქალაქ ოდესაში (27 – 31 მაისს) გაიმართა ქართული ფილმების ფესტივალი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ახალი ქართული ფილმების პროგრამა.

ფესტივალის ფარგლებში ოდესაში მიწვეული იყო ქართველი კინორეჟისორი ნანა ჯორჯაძე. მან მაყურებელს ბოლო ნამუშევარი „მეტეოიდიოტი“ წარუდგინა. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც რეჟისორმა მაყურებლის კითხვებს უპასუხა.

ფესტივალს ორგანიზება გაუწია საქართველოს საკონსულომ უკრაინაში. პარტნიორი საქართველოს ეროვნული კინოცენტრი იყო. ჩვენებები ოდესის კინოსტუდიის დარბაზში შედგა. პროგრამა გახსნა საქართველოს კონსულმა უკრაინაში, ზურაბ კვაჭაძემ. ფესტივალს ესწრებოდნენ უკრაინელი კინემატოგრაფისტები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

უკრაინაში (30 მაისი - 27 ივნისი, 2011) ქართული ფილმების ფესტივალი გაიმართა. ქართული კინოს დღეები ჩატარდა სხვადასხვა ქალაქებში: დონეცკი, დნეპროპეტროვსკი, ხარკოვი, ლვოვი, კიევი.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა 4 სრულმეტრაჟიანი ფილმის ჩვენება:

„სუსა“ - რუსუდან პირველი, „ქუჩის დღეები“ - ლევან კოღუაშვილი, „სამი სახლი“ - ზაზა ურუშაძე,

„რენე მიდის ჰოლივუდში“ - ალეკო ცაბაძე.

ასევე, გაიმართა სხვადასხვა პერიოდში შექმნილი ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება. ფესტივალს ორგანიზება გაუწია უკრაინულმა საპროდიუსერო კომპანიამ „კონტორა პრავილო“, მხარდამჭერები იყვნენ ეროვნული კინოცენტრი და საქართველოს საელჩო.

www.gnfc.ge